



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 37

2018 წლის 25 მაისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში, ასლან ფუტკარაძის მიერ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთში თევზის ტბორისა და თევზსაშენი მეურნეობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 23-ე მუხლის მე-1 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 5 იანვრის N242 წერილისა და მოქალაქე ასლან ფუტკარაძის პ/N61006066188 2017 წლის 28 ნოემბრის N14024/05 განცხადების საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში, ასლან ფუტკარაძის პ/N61006066188 მიერ იჯარით აღებულ (ს/კ22.28.04.078) არსებულ მიწის ნაკვეთში თევზის ტბორებისა და თევზსაშენი მეურნეობის მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე

